საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1827
20/03/2026

1827-01-2-202603201806

შპს „გიო ჯგუფს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 400298922)

მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მასივი, IV მიკრორაიონი, კორპუსი №99, ბინა №7

მისამართი: ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №72

ელ-ფოსტა: giogroupservice1@gmail.com

ტელ.: 0322022228

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 16 მარტს სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) №01/2403 განცხადებით მომართა გ[redacted] დ[redacted]მ (პირადი ნომერი [redacted]) (2026 წლის 19 მარტს აღნიშნულმა პირმა წარმოადგინა №01/2542 დაზუსტებული განცხადება), 2026 წლის 17 მარტს კი – №01/2435 განცხადებით – ლ[redacted] ა[redacted]მ (პირადი ნომერი [redacted]). აღნიშნული განცხადებების მიხედვით, მომხმარებლებმა ისარგებლეს შპს „გიო ჯგუფის“ (შემდგომში – მოვაჭრე) მომსახურებით ამანათების ჩინეთიდან საქართველოში ტრანსპორტირებისათვის, თუმცა მნიშვნელოვანი დაგვიანების შემდეგ, მათ ამანათები დღემდე არ მიუღიათ.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) თანახმად, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, ამ კანონის დარღვევის შესახებ მიმართოს სააგენტოს ან შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ

უფლებამოსილ ორგანოს. ამ კანონის 29-ე–36-ე მუხლები არ ვრცელდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოზე. შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს თავის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებენ სააგენტო და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;

- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

დანართის სახით გიგზავნით მომხმარებლების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს და გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მასში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: 23 (ოცდასამი) ფურცელი და 15 (თხუთმეტი) სურათი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/1903
25/03/2026

1903-01-2-202603251352

შპს „გიო ჯგუფს“ (საიდენტიფიკაციო ნომერი 400298922)

მისამართი: ქალაქი თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მასივი, IV მიკრორაიონი, კორპუსი №99, ბინა №7

მისამართი: ქალაქი თბილისი, ვიქტორ კუპრაძის ქუჩა №72

ელ-ფოსტა: giogroupservice1@gmail.com

ტელ.: 0322022228

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 24 მარტს სსიპ – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) №01/2696 განცხადებით მომართა ნ[redacted] ა[redacted]მ (პირადი ნომერი [redacted]) (შემდგომში – განმცხადებელი/მომხმარებელი). განცხადების თანახმად, მომხმარებელმა ამანათების ჩინეთიდან საქართველოში ტრანსპორტირებისათვის, ისარგებლა შპს „გიო ჯგუფის“ (შემდგომში – მოვაჭრე) მომსახურებით, თუმცა ამანათების ნაწილი მიიღო დაგვიანებით, ნაწილი კი ჯერ კიდევ არ მიუღია.

აღსანიშნავია, რომ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში – კანონი) თანახმად, ამ კანონის მიზანია მომხმარებლის უფლებების სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა და მომხმარებლის პატივისცემაზე დამყარებული ქცევის კულტურის ხელშეწყობა. კანონი განსაზღვრავს იმ მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგად პრინციპებს, რომელიც სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს მოვაჭრესთან მისი საქონლის ან მომსახურების პირადი მოხმარების მიზნით გამოსაყენებლად.

კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება აქვს, ამ კანონის დარღვევის შესახებ მიმართოს სააგენტოს ან შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოს. ამ კანონის 29-ე–36-ე მუხლები არ ვრცელდება შესაბამისი სფეროს მარეგულირებელ უფლებამოსილ ორგანოზე. შესაბამისი სფეროს

მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო ამ მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს თავის მიერ დადგენილი წესით.

საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მისი უფლებების დარღვევის პრევენციასა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობას, მომხმარებლის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენასა და დარღვევებზე კანონით გათვალისწინებულ სათანადო რეაგირებას ახორციელებენ სააგენტო და შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი უფლებამოსილი ორგანო.

კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად ატარებს რიგ ღონისძიებებს, მათ შორის:

- შეისწავლის მომხმარებლის ამ კანონით დადგენილი უფლების შესაძლო დარღვევის ისეთ ფაქტს, რომელმაც გამოიწვია ან შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებელთა ჯგუფის უფლების დარღვევა;

- საქმის შესწავლის მიზნით განმცხადებლისგან ან/და მოვაჭრისგან გამოითხოვს ინფორმაციას (მათ შორის, კონფიდენციალურ ინფორმაციას), რომელიც სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილების განსახორციელებლად სჭირდება;
- უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ;
- იწვევს მხარეებს/დაინტერესებულ პირებს ახსნა-განმარტებების მისაღებად.

დანართის სახით გიგზავნით მომხმარებლის მიერ წარმოდგენილ განცხადებას და გთხოვთ, კანონის 28-ე, 30-ე, 32-ე მუხლებისა და სსიპ – საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ მე-5 მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია მასში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი